საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაუერი მარიამ ბენიამინის ასული

მ. ბაუერი

ბაუერი მარიამ ბენიამინის ასული [16 (29). V. 1909, თბილისი, - 6. IX. 1995, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში], ბალეტის მსახიობი, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1955).

1925 დაამთავრა *მ. პერინის* საბალეტო სტუდია თბილისში. იმავე წელს ჩაირიცხა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტად. 1929–30 კვალიფიკაციის ასამაღლებლად მეცადინეობდა ლენინგრ. ქორეოგრაფიულ ტექნიკუმში (პედ. მ. რომანოვასთან), 1930 – 60 კვლავ თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ერთდროულად 1935–42 პედაგოგად მუშაობდა თბილ. ქორეოგრაფიულ სტუდიაში. 1960-იდან თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტმაისტერ-რეპეტიტორია.

შეასრულა პარტიები: გულნარა (ჩ. პუნის „კორსარი“), ზარემა (ბ. ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი“), თოჯინა (ლ. დელიბის „კოპელია“), ოდეტა (პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“), ტაო-ხოა (რ. გლიერის „წითელი ყაყაჩო“) და სხვ. ბ-ის შესრულებას ახასიათებდა ექსპრესია, ცეცხლოვანი ტემპერამენტი, სტილის ფაქიზი გრძნობა, დახვეწილი ტექნიკა და მდიდარი მიმიკა. ბ-ის ნიჭის თავისებურებანი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა სახასიათო პარტიებში: ქუჩის მოცეკვავე (ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“), ესპ. ცეკვა (პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“), ინდური ცეკვა (დ. თორაძის „გორდა“; სტალინური. პრემია, 1951).